საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თედორაძე ომარ მიხეილის ძე

ო. თედორაძე

თედორაძე ომარ მიხეილის ძე (დ. 14. V. 1948, სოფ. თოკი, ახლანდ. ასპინძის მუნიციპალიტეტი), ინჟინერ-მექანიზატორი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1998), პროფესორი (2000). 1972 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი. 1978 მუშაობა დაიწყო საქართვ. აგრ. უნ-ტში. 1980 აირჩიეს მოსავლის ამღები მანქანების კათედრის გამგედ. 2005–06 იყო აგროსაინჟ. ფაკ-ტის დეკანი და სოფ. მეურნ. მექანიზაციის დეპარტამენტის უფროსი. 2008–10 ხელმძღვანელობდა საქართვ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული მართვის დეპარტამენტს, ხოლო 2010-იდან – ამავე სამინისტროს ტექ. და ტექნოლოგიების სამმართველოს. შეთავსებით ლექციებს კითხულობდა საქართვ. ტექ. უნ-ტის სატრანსპ. და მანქანათმშენებლობის ფაკ-ტზე. თ-ის ძირითადი შრომები ეხება მცენარეული მასის ჭრის თეორიას და შესაბამისი მანქანების კონსტრუქციების სრულყოფას. ავტორია პრაქტ. რეკომენდაციებისა ფერმერთათვის და სახელმძღვანელოებისა აგროსაინჟ. ფაკ-ტის სტუდენტებისათვის. მიღებული აქვს 17 საავტორო მოწმობა გამოგონებაზე. არჩეულია სომხეთისა და აზერბაიჯანის აგრ. უნ-ტების საპატიო დოქტორად. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2002).

თხზ.: მცენარეული მასალების ჭრისა და დაქუცმაცების პროცესების ოპტიმიზაცია, თბ., 1991 (თანაავტ.: რ. მახარობლიძე, ჯ. მარგოშვილი).